სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

17 იანვარი, 2025 წელი

ბრძანება № 01-02/02

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **,,აღმზრდელი"** (მე-5 დონე, 2023 წლის საშემოდგომო მიღება) **პროფესიულ სტუდენტთა შუალედური შეფასების კომისიის ჯგუფის შექმნის, შეფასების ადგილის და დროის განსაზღვრის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს შრომის კოდექსის, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №07-01/59 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის N01-08/986 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2023 წლის საშემოდგომო მიღების შედეგად პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 26 ოქტომბრის N01-08/935 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,აღმზრდელი" (მე-5 დონე, 2023 წლის საშემოდგომო მიღება) შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფების შექმნის შესახებ" ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 27 დეკემბრის N01-02/219 ბრძანების, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დიექტორის 2025 წლის 16 იანვრის №18135 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **,,აღმზრდელი"** (მე-5 დონე, 2023 წლის საშემოდგომო მიღება) პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მიზნით **შეიქმნა შუალედური შეფასების კომისია და განისაზღვროს შეფასების ჩატარების დრო და ადგილი,** კერძოდ:

1.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,აღმზრდელი" (მე-5 დონე, 2023 წლის საშემოდგომო მიღება) პროფესიული სტუდენტის შეფასების მიზნით **შეიქმნას შუალედური შეფასების კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

ა) **ნანა მაკარაძე** - ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,აღმზრდელი" პროფესიული განათლების მასწავლებელი, კურიკულუმის ექსპერტი;

ბ) **რუსუდან ცინცაძე** - დამსაქმებელი, ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების ერგეს საბავშვო ბაღის მეთოდისტი, კურიკულუმის ექსპერტი;

გ) **ნორა ფუტკარაძე** - დამსაქმებელი, ა(ა)იპ ბათუმის ბაღების გაერთიანების განყოფილების უფროსი მეთოდოლოგიის დარგში;

1.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,აღმზრდელი" (მე-5 დონე, 2023 წლის საშემოდგომო მიღება) **შუალედური შეფასება ჩატარდეს 2025 წლის 24 იანვარს 12:00 საათზე**, ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15, აუდიტორია N205.

2. შუადედური შეფასების კომისიამ იხელმძღვანელოს ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის N01-08/986 ბრძანებით.**

3. დაევალოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს (მამუკა გოგელიას) უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების ინფორმირება შუალედური შეფასების ადგილისა და თარიღის შესახებ.

4. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება (პროფესიული პროგრამების ველში).

5. წინამდებარე ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს (პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი) და შუალედური შეფასების კომისიის წევრებს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30), კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი **მერაბ ხალვაში**